**რა არის Bolt Rewards პროგრამა?**

1. Bolt სტატუსის პროგრამა („პროგრამა“) არის პროგრამა, სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერებისთვის და/ან მძღოლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ სატრანსპორტო სერვისის მიმწოდებლის სახელით, რომლებიც უზრუნველყოფენ სატრანსპორტო მომსახურებას Bolt პლატფორმის/აპლიკაციის („თქვენ“) მეშვეობით. პროგრამა გაძლევთ საშუალებას შეაგროვოთ Bolt ქულები გარკვეული Bolt სტატუსის დონის („დონეები“) მისაღწევად. თუ თქვენ მიაღწევთ გარკვეულ დონეს, მაშინ შეიძლება შემოგთავაზოთ გარკვეული Bolt სტატუსები („სტატუსი“), რომლით სარგებლობასაც შეძლებთ.
2. პროგრამას გთავაზობთ Bolt Operations OÜ, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და რეგისტრირებულია ესტონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით სარეგისტრაციო კოდით 14532901, რეგისტრირებული ოფისი Vana-Lõuna tn 15, Tallinn 10134, Republic of Estonia, ან Bolt ჯგუფის სხვა კომპანია.
3. აღნიშნული სახელმძღვანელოს პირობები („პირობები“) ჩამოყალიბებულია მძღოლების წესებისა და პირობების ასევე კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად და განსაზღვრავს პროგრამაში მონაწილეობის წესებსა და პირობებს.
4. Bolt-ი აპლიკაციის მეშვეობით მოქმედებს მხოლოდ როგორც სერვისის და არა როგორც სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელი. პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ყველა/ყოველი შეღავათი უზრუნველყოფილია „როგორც არის“, შესაბამისად თქვენ მიიღებთ Bolt ქულებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მგზავრები გამოიყენებენ Bolt აპლიკაციას ტრანსპორტირების სერვისების მოთხოვნით.

**როგორ მივიღო მონაწილეობა პროგრამაში?**

5. პროგრამაში მონაწილეობის უფლება გაქვთ, თუ:

ა.თუ ის ხელმისაწვდომია თქვენს ქალაქში.
ბ.თქვენ გაქვთ აქტიური Bolt მძღოლის ანგარიში და იცავთ ყველა კანონს, რომელიც მოქმედებს თქვენთვის, როგორც სატრანსპორტო სერვისის მომწოდებლისთვის.
გ.თუ პროგრამა ხელმისაწვდომია თქვენს ქალაქში, თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი აქტივობის ქულა და მძღოლის ქულა აკმაყოფილებს მითითებულ დონეს, როგორც ეს მითითებულია Bolt აპლიკაციაში.

6. თქვენ ავტომატურად ჩაერთვებით პროგრამაში, როგორც კი დააკმაყოფილებთ წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-5 მუხლში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს.

**როგორია პროგრამის პირობები?**

**Bolt-ის ქულები**

7. Bolt-ის პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული ყოველი მგზავრობა მოგიტანთ Bolt-ის აპლიკაციაში მითითებულ Bolt ქულების გარკვეულ რაოდენობას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თითო მგზავრობაზე მიღებული Bolt ქულების ოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს. აღნიშნული დამოკიდებულია იმ დღის პერიოდზე, როდესაც თქვენ აწვდით სატრანსპორტო მომსახურებას Bolt პლატფორმის საშუალებით. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიიღოთ მეტი Bolt ქულები პიკის საათებში. ასევე, პიკის საათები შეიძლება განსხვავდებოდეს ყოველთვიურად. იმ ქალაქის პიკის საათები სადაც კურირებთ, მითითებულია Bolt აპლიკაციაში.
8. თქვენ მიიღებთ Bolt ქულებს ყოველ დასრულებულ მგზავრობაზე Bolt აპლიკაციის საშუალებით. თუ თქვენ არ დაასრულებთ მგზავრობას, თქვენ ვერ მიიღებთ Bolt ქულებს. Bolt ქულების ერთადერთი მიზანია თქვენი საფეხურის განსაზღვრა. Bolt ქულები არ შეიძლება გადაიცვალოს ნაღდ ფულში. Bolt უფლებამოსილია გააუქმოს თქვენი Bolt ქულები ნებისმიერ დროს, თუ სახეზე იქნება რაიმე თაღლითური ქმედების, Bolt პლატფორმის ბოროტად გამოყენების და/ან წესებისა და პირობების შეუსრულებლობის შემთხვევები. I’m
9. Bolt-ის ქულების ოდენობიდან გამომდინარე, რომელსაც ყოველთვიურად იღებთ Bolt-ის

პლატფორმის საშუალებით სატრანსპორტო სერვისების მიწოდებისას, თქვენ მოგენიჭებათ გარკვეული საფეხური პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულია შემდეგი საფეხურები/სტატუსები:

- □რინჯაოს სტატუსი,
- ვერცხლის სტატუსი,
- ოქროს სტატუსი,
- პლატინას სტატუსი.

10. თქვენი დონის დასადგენად საჭირო Bolt ქულები მითითებულია თქვენს Bolt აპლიკაციაში, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს. ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეგატყობინებთ თვის პირველ დღეს.
11. თქვენ მიერ დაგროვილი Bolt ქულები განულდება და აღდგება ყოველი თვის ბოლოს, ანუ ისინი არ გადავა მომდევნო თვეში. დონე, რომელსაც მიაღწიეთ, არ არის მუდმივი და უნდა მიიღოთ ხელახლა ყოველთვიურად.
12. Bolt აპლიკაციაში ან სხვა სისტემებში გათიშვის ან რაიმე ტექნიკური შეცდომის შემთხვევაში, შესაძლოა თქვენი Bolt ქულების ჩვენება შეფერხდეს. Bolt ვერ უზრუნველყოფს ტექნიკური შეცდომების გამო დაკარგული Bolt ქულების აღდგენას, მაგრამ მხარდაჭერის ჯგუფი შეეცდება დაგეხმაროთ მათ აღდგენაში.

**Bolt სტატუსი**

13. სტატუსები წარმოდგენილია როგორც ერთგვარი პრივილეგიები. აღნიშულის მონიჭება მოხდება Bolt-ის მიერ. ისინი გაიცემა Bolt-ის შეხედულებისამებრ, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ნებისმიერ დროს. მათი გადაცვლა არ შეიძლება მოხდეს Bolt ქულით და/ან ნაღდი ფულით. სტატუსის დეტალები, პირობები და შეზღუდვები შეგიძლიათ იხილოთ თქვენს Bolt აპლიკაციაში. თუ სტატუსები უზრუნველყოფილია მესამე მხარის მიერ, შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი ქმედებების განხორციელება, როგორიცაა პირობებზე დათანხმება ან ანგარიშის შექმნა მესამე მხარესთან. ზოგიერთ შემთხვევაში, Bolt-მა შეიძლება გაუზიაროს თქვენი ინფორმაცია მესამე მხარეს სტატუსის გამოსყიდვის მიზნით. Bolt არ აკონტროლებს თქვენი ინფორმაციის მესამე მხარის მიერ გამოყენების საკითხებს, შესაბამისად მათი პერსონალური მონაცემების გამოყენება იქნება მათი პირადი კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად.
14. როდესაც თქვენ შეაგროვებთ Bolt ქულების რაოდენობას, რომელიც საჭიროა გარკვეული სტატუსისთვის, როგორც კი ეს აისახება Bolt აპლიკაციაში, თქვენ ავტომატურად გექნებათ წვდომა მიღებული სტატუსის მიხედვით შემოთავაზებულ შეღავათებზე. გარკვეული სტატუსის ქვეშ შემოთავაზებული შეღავათები მითითებულია Bolt აპლიკაციაში.
15. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტატუსები შეიძლება შეთავაზებული იქნეს Bolt-ის ან მესამე მხარისგან. Bolt არ არის ვალდებული უზრუნველყოს, რომ მესამე მხარის მიერ შემოთავაზებული სტატუსები იყოს ხელმისაწვდომი თქვენთვის მაშინაც კი, თუ თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ეს სტატუსი დადგენილი პირობებით, თუ ამის მიზეზი არ არის ბოლტის კონტროლის ქვეშ.
16. მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი ყველა გადასახადზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით.

**სხვა პირობები**

17. თუ თქვენ აღმოაჩენთ, რომ არ გაქვთ პროგრამაში მონაწილეობის უფლება, მონაწილეობა შესაძლოა შეგეზღუდოთ მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებთ აქტივობის ქულის მაჩვენებელს და მძღოლის ქულის მოთხოვნებს. შეჩერების დროს კარგავთ წვდომას მიღებულ სტატუსებზე და Bolt ქულების გამომუშავების შესაძლებლობას განხორციელებული მგზავრობებისთვის. პროგრამაში მონაწილეობისთვის საჭირო აქტივობის ქულა და მძღოლის ქულა მითითებულია Bolt აპლიკაციაში.
18. Bolt-ს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს, შეაჩეროს ან გააუქმოს თქვენი წვდომა

პროგრამაზე წინასწარი შეტყობინების გაგზავნით. თუ თქვენი წვდომა შეწყდება, თქვენი Bolt ქულები დაკარგავენ ძალას შესაბამისად თქვენ ვერ შეძლებთ მათ გამოყენებას. თუ Bolt მიუთითებს რომ იკვეთება რაიმე სახის თაღლითური ქმედება ან წინამდებარე სახელძღვანელოს პირობებთან შეუსაბამობა, თქვენი პროგრამაზე წვდომა შეწყდება, შეჩერდება ან გაუქმდება დაუყოვნებლივ. თაღლითური მოქმედების ან წინამდებარე პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყველა Bolt ქულის დაკარგვის გარდა, თქვენ სამუდამოდ დაკარგავთ პროგრამაში ხელახლა გაწევრიანების უფლებას.

**საბოლოო დებულებები**

19. თქვენ გესმით, რომ Bolt-ს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ან შეცვალოს პროგრამა ან მისი რომელიმე ნაწილი Bolt-ის შეხედულებისამებრ. ეს ეხება, შეუზღუდავად, პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულ სტატუსებს, გარკვეული სტატუსის მისაღწევად საჭირო Bolt ქულებს, სტატუსების სტრუქტურას, გარკვეული სტატუსის მიღწევის მოთხოვნებს და პროგრამის ხანგრძლივობას.
20. Bolt-ს შეუძლია ნებისმიერ დროს მიანიჭოს ან გადასცეს თავისი უფლებები და ვალდებულებები ამ პროგრამის ფარგლებში ნებისმიერ დაკავშირებულ ან არადაკავშირებულ სუბიექტს. დავალების ან გადაცემის შემდეგ, პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აღნიშნულ სუბიექტს.
21. პროგრამა და/ან მისი რომელიმე ფუნქცია შეიძლება იყოს მიუწვდომელი, არაზუსტი ან დროდადრო შეწყდეს Bolt-ის კონტროლს მიღმა არსებული სხვადასხვა მიზეზის გამო. Bolt არ არის პასუხისმგებელი პროგრამის ფუნქციონირების ხარისზე მისი ფუნქციების ან რაიმე სტატუსს ხელმისაწვდომობაზე, ზოგადად შეფერხებებზე და/ან სხვა ხარვეზებზე. Bolt-ს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს პროგრამა ან პროგრამის რაიმე ფუნქცია შეტყობინების გარეშე. Bolt-ი და Bolt-ის შვილობილი სუბიექტები, ასევე, მესამე მხარის სტატუსის პროვაიდერები და მათი აგენტები არ იძლევიან რაიმე სახის გარანტიას, წარმომადგენლობას და/ან პირობას, გამოხატულს ან ნაგულისხმევს მასალების, შინაარსის, ხელმისაწვდომობისა და პროდუქტის საკითხებზე. კანონით გათვალისწინებულ/დადგენილ ფარგლებში, Bolt-ი არ იძლევა არანაირ ნაგულისხმებ და ან სხვა სახის ნებისმიერ გარანტიას და/ან დაპირებას პროგრამის ფუნქციონირებისა და საჭიროებისამებრ გამოყენების შესახებ.